შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/60

თბილისი " 19 " ივლისი 2019 წ.

2019-2020 სასწ/წ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე
წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხისა და ვადების განსაზღვრის შესახებ:

გთუნის მაგისტრატურის დებულების მე-4.3 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე საბუთების მიღების ვადები განისაზღვროს მ/წ 02 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) 10:00 სთ - 16:00 სთ;

2. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება გთუნი-ს რექტორის სახელზე;
- ფერადი ფოტოსურათი (3x4) ამობეჭდილი (4 ცალი) და ელექტრონული ვერსია CD-ზე;
- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ასლი დედანთან ერთად;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი დედანთან ერთად;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ვაჟებმა წვევამდელის სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი ასლი;
- გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში საბუთები არ მიიღება.
- თუ საბუთები წესრიგშია, დედნები უბრუნდება წარმომდგენს, ხოლო მაგისტრანტობის კანდიდატის საბუთები ბარდება მიმღები კომისიის მდივანს.

3. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას;

4. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი გიორგი მათიაშვილი